მანანა ხომერიკი

გულით სატარებელი საჩუქარი

კლასი III
კითხვის დონე – 3.3
ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

მხატვარი – **ელენე ვარამაშვილი**

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას, ნუგზარ არჩემაშვილს და ელისო რეხვიაშვილს, რომლებმაც პაატა პაპავას ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნების მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) გაწეული დახმარებისთვის.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | G-PRIED Georgia Primary Education Project საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

მანანა ხომერიკი

გულით სატარებელი საჩუქარი



მაღალ, თოვლიან მთებს შორის ბროლივით გამჭვირვალე ყინულის სახლი იდგა. მისი პოვნა ყველაზე გამოცდილ მთამსვლელსაც გაუჭირდებოდა.

ამ სახლში უხსოვარი დროიდან ორი მოხუცი ცხოვრობდა: თოვლის პაპა და თოვლის ბებია. ისინი ისე იყვნენ მიჩვეული სიცივეს, მზეს ერთი წუთითაც რომ შემოეჭვრიტა, ცემინება და ხველა აუტყდებოდათ. ყინულის სახლთან მუდამ ნისლი და სიცივე იყო.

ერთხელ, როცა მოხუცები ახალი წლის შესახვედრად ემზადებოდნენ, მზის ცელქი სხივები ყინულის სახლში შეიპარნენ. ყინულის ტახტზე თოვლის პაპა იჯდა, ხელში ჩონგური ეჭირა და მღეროდა:

აბა, დელი დელია, ხვალ ახალი წელია.

ნაძვის ხესთან ყმაწვილებს ყელი მოუღერებიათ.

ავიკიდებ ჭრელ ხურჯინს, აღმა-დაღმა ვატარებ,

საახალწლო საჩუქრებს დავურიგებ პატარებს.

მზის სხივებს პაპას სიმღერა მოეწონათ და ცეკვა დაიწყეს. ყინულის სახლის ჭერი და კედლები ცისარტყელას ფერებით მოიხატა. მერე თქვეს, მოდი, თოვლის პაპა გავათბოთო, და მოხუცს ჯერ ხელები გაუთბეს, მერე გაყინულ ცხვირზეც მიეფერნენ. უცებ თოვლის პაპამ ისე ხმამაღლა დააცემინა, გეგონებოდათ, მეხი გავარდაო. ხველაც აუტყდა. ყინულის სახლი აზანზარდა, სახურავიდან ყინულის ჩურჩხელებიც ჩამოცვივდა და მთებიდან ზვავი ჩამოწვა.

შეეშინდათ ცელქ მზის სხივებს, ეს რა ბრაზიანი თოვლის პაპა ყოფილაო, და ცხრა მთას იქით გადაიკარგნენ.

თოვლის პაპა მზის სხივებმა ცუდად გახადა. ყინულის ტახტზე წამოწვა, თოვლის ფუმფულა საბანი დაიხურა და თოვლის ბებოს გასძახა, იქნებ მომხედოო!

თოვლის ბებო ყინულის ტახტთან მივიდა:

– რა დაგემართა, შენმა ხველებამ კინაღამ დაიქცია ქვეყანა. ზვავები ჩამოწვა. ლამის სახლიც თავზე ჩამოგვენგრეს!

– საიდანღაც მზის სხივები შემოიპარნენ, გამათბეს და ცუდად გავხდი.

თოვლის ბებიამ თოვლის პაპას კიდევ ერთი თოვლის საბანი დაახურა.

– ცივ ჩაის დაგალევინებ და გამოკეთდებიო.

– ცივ ჩაის შოკოლადის ნაყინი მირჩევნია და არც შაქარლამაზე ვიტყოდი უარს, ძალიან მშველის! – უპასუხა თოვლის პაპამ.

ბებიამ ყინულის ვეებერთელა ტოლჩაში სამკურნალო ბალახები ჩაყარა, წყაროს ცივ-ცივი წყალი დაასხა, ერთი ნატეხი შაქარყინული ჩააგდო და პაპას მიართვა. თოვლის პაპამ სულმოუთქმელად დაცალა და ბებიას უთხრა:

– სასწრაფოდ უნდა მოვრჩე, ხვალ ახალი წელია და ბავშვებთან დაგვიანება არ შეიძლება!

მართლაც, სულ მალე თოვლის პაპა გამოკეთდა.

– ვატყობ, წამალმა მიშველა, თავს კარგად ვგრძნობ. ახლა ეს მითხარი, რას მატან ბავშვებთან საჩუქრად?

– შოკოლადისა და ნაღების ნაყინი ხომ ვთქვი? შაქარყინულიც, გოზინაყიც, კიდევ ბევრი შოკოლადის გუნდა მოვამზადე, – უპასუხა ბებიამ.

– თოვლის გუნდები გამიგია, შოკოლადისა კი – არა! – გაოცდა პაპა.

– შოკოლადის გუნდა ჩემი ნახელავია! ნიგვზის, თხილისა და ნუშის გულია გადაზელილი შოკოლადში, უგემრიელესია!

თოვლის ბებიამ სხვა საჩუქრებიც ჩამოთვალა: ნაირ-ნაირი ხრამუნა ნამცხვრები, კნატუნა კანფეტები, ჩურჩხელები...

კმაყოფილი თოვლის პაპა იღიმებოდა. მერე ფანჯარაში გაიხედა. მთის მწვერვალებს ნამგალა მთვარე ანათებდა.

– აი, ჩემი გამგზავრების დროც დადგა! – თქვა პაპამ და სავსე ხურჯინი მხარზე

გადაიკიდა. მერე ხელში ჩონგური დაიჭირა და იკითხა, ხომ არაფერი დამრჩა ხურჯინში ჩასადებიო?

ბებიამ ეშმაკურად ჩაიცინა:

– დარჩა, როგორ არ დარჩა!

– აბა, ჩქარა მოიტა, ჩავდოთ ხურჯინში!

– არა, ეს იმისთანა საჩუქარია, არც ხურ-ჯინში ჩაიდება და არც – ჯიბეში, – უპასუხა ბებიამ.

– რაა ეგეთი? – ჩაფიქრდა თოვლის პაპა.

– სიყვარული! სიყვარული! გულის გარდა არსად ინახება. გულით უნდა ატარო და გუ-ლითვე გაუნაწილო ბავშვებს.

– ეგ ხომ მეც კარგად ვიცი, – გაიღიმა პაპამ კეთილად. მერე ყინულის სახლის კარი გააღე-ბინა ბებიას და მთვარის შუქით განათებულ თოვლიან ბილიკებს ყოჩაღად გაუყვა. ნიავს შორს მიჰქონდა თოვლის პაპას ჩონგურზე ნამღერი ლექსიც: აბა, დელი დელია, ხვალ ახალი წელია...